იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 39
წელიწადი პირველი
1912
შაბათი, 10 ნოემბერი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ძილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ამა 1912 წ. 26 სეკტემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

იმერეთი

✦ (წელიწადი პირველი) ✦

გაზეთის ფასი

ერთი წლით . .	7 მანეთი.
ნახევარი წლით . .	4 მანეთი.
ერთი თვით . .	4 აბაზი.
ცალკე ნუმერი . .	შაურათ.

1 ოკტომბრიდან წლის დამლევამდი გაზეთი ღირს 2 მანეთად. მოწაფეებსა და სოფლის მასწავლებლებს დაუთმობათ მანეთ ნახევრათ.

მისამართის გამოცვლა—10 შაური.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი ღირს 6 შ., მეოთხეზე აბაზი, შიგნით გვერდებზე მორიგებით. სამგლოვიარო განცხადება—3 მანეთად. ფული და გაზეთის ყოველივე საკანტორო ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Въ гор. Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“

Антону Михайловичу Хеладзе.

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

პაიებზე დაფუძნებული ამხანაგობა

ს. მ. კირაკოზოვის და ბ. გ. ოგანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

მოსავალი ამა სეზონისთვის მიღებულია აუარებელი და დიდძალი ასარჩევი საქონელი: აბრეშუმ-ის, შალის, მაუდის, მატყლის, ტილოსი და ბამბისა.

დიდი სარჩევი:

პლიუშის, ველვეტის, საპნების, ნოხების, „დაროგის“, გორდონი ტიულის, ბრეზენტის, ტილოსი, ჯუტის და ყოველნაირი მაუდების და ფორმის მატერიების სამხედრო და სამოქალაქო უწყებათათვის და ყველა სასწავლებლისათვის. სუფრის ჩაის და ლოგინის თეთრეული, სერვიზები ყოველნაირი ბამბაზეა, შოტლანტა და ვიგონები.

მაღაზია და საწყობი სავსეა სეზონის ახალ-მოდის საქონლით.

რადგანაც ჩვენს ამხანაგობაში მონაწილენი არიან სხვილი და გამოჩენილი ქარხნების პატრონები ქ. მოსკოვისა, ამისათვის ფასები დანიშნულია რიგიანი და შეუვაჭრებლათ. მიიღება აგრეთვე დაკვეთა ყველა სახელმწიფო, და კერძო დაწესებულებათათვის ნაღდ ფასათ.

ქუთაისის განყოფილება.

5 გიორგობისთვეს, დილის 3 საათზე დ. ხონში თავის საკუთარ სახლში ხანგძლივ ავათმყოფობას შემდეგ გარდაიცვალა ჩვენში ცნობილი საზოგადო მოღვაწე პატივცემული

ივანე სიმონის ძე შარაშიძე.

გამოსვენება მოხდება კვირას, 11 გიორგობისთვეს, დილის 10 საათზე. პანაშვიდები ყოველდღე 5 საათზე საკუთარ სახლში.

თანახმათ განსვენებულის სურვილისა

გამსვენებელი კომიტეტი

ნაცვლად გვირგვინებისა მიიღებს შემოწირულებას ფულად ხონის სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლათ განსვენებულის სახელზე

გამსვენებელი კომიტეტის თავჯდომარე ჯორბენაძე.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილების გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა საზოგადო მოღვაწე და გამგეობის თავჯდომარის ყოფილი ამხანაგი

ივანე სიმონის ძე შარაშიძე,

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 11 ნოემბერს ამა 1912 წ., დილის 11 საათზე.

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით ქ. ქუთ. ბულვარის პირდაპირ. ძმ. ოცხელების შენობაში ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმები 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით;

კალოშები, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წივსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წივსაკრავი ქალთა და ბავშვათვის. სამუსიკო იარაღები სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველ დღე.

ფასები ხელმისაწვდომაა და უვაჭროთ. პატივისცემით ა. ახვლედიანი.

შაბათს, 10 ნოემბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება

განთავისუფლებული მონები

კომ. 3 მოქ. ფახცხავასი.

მოწაფე ქალებისა-ვის ადგილი ორკესტრში ღირს 2 აბაზათ. თავისუფალი ადგილი მოწაფეთათვის—10 შაურათ. ამ ადგილების ბილეთები გაიყიდება 8 საათს შემდეგ.

თეატრის ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

კვირას, 11 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება

1

სისხლის ლაქა

2 მოქმ. დრამა მუმლაძისა

2

გაცრუებული იმედი

2 მოქმ. კომედია.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ✦ თეატრის ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

ქ უ თ ა ი ს ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ს ა კ რ ე ბ უ ლ ო.

დღეს, შაბათს, 10 ნოემბერს 1912 წელს **დანიშნულია სამუსიკო დრამატიული**

საღამო 1. მარში ჩაიკოვსკისა. 2. უვერტიურა ოპერიდან „ევგენი ონეგინი“ ჩაიკოვსკი მუსიკა. დაუკრავს მუსიკის მოყვარულთა სიმებიანი ორკესტრი ბ. კარაკოზიანის ლოტბარობით.

II.

მეხის ასაცთენი ვოდევილი ერთ მოქმედებათ. **რუსულ ენაზე.**

III.

ორი მშიერი ვოდევილი ერთ მ. კუპლეტებით დღევანდელ ქირვარამზე. **ქართულ ენაზე. მ. ნემოსა და ვ. ბალანჩივაძის მონაწილეობით.**

IV.

ცეკვა და ლოტო დაუკრავს სამხედრო მუსიკა. წევრთა და მათ ოჯახობათათვის შესვლა უფასოა, სტუმრები იხთიან კაცები 1 მ. ქალები 10 შ.—✦—**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

მამასახლისთა საბჭო.

პროვინციის მოვაჭრეთა საყურადღებოთ!

მანუფაკტურული საპარტიო სავაჭრო

ამხ. „სამეგრელო“.

გაიხსნება 1 იანვრიდან 1913 წ. ქ. ქუთაისში, ვორონცოვის ქ., მურალოვის შენობა.

კავკასიის სამთო გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1912 **წლის** 30 **ნოემბერს** 1-ლი კავკასიის სამთო ოლქის ინჟინერის სტ. სოვ.-ის აბრამ გრიგოლის ძის ცეიტლინის თავჯდომარეობით ქალ. ქუთაისში მოწვეულია **შორაპნის მაზრის შავიქვის**

მრეწველთა კრება,

რომელზეც უნდა გაირჩეს შემდეგი საგნები:

1. კრების მდივნის არჩევა.
2. ანგარიშების განხილვა: ა. საბჭოსი, ბ. სარევიზიო კომისიისა, გ. იმ კომიტეტისა, რომელიც პლატფორმებსა და ჭიათურის რკინის-გზის ვაგონებს აწესრიგებს.
3. სტატისტიკური ცნობების განხილვა მაღაროების წარმოებისა, რამდენი მადნეულია მოგროვილი რკ. გზ. სადგურზე და რამდენი გააქვთ, რა საშვალებით გააქვთ ჭიათურისა და მთავარ ლიანდაგზე არსებული საწყობები
4. რომანოვთა სამეფო გვარეულობის სამასი წლის დღესასწაულის აღნიშვნა.
5. შავიქვის დასატვირთავათ ბათომში ელევატორის მოწყობა.
6. სამრეწველო მიდამოში მისავალი რკინის გზის ლიანდაგის დაგება.
7. მაღაროებში წყლის გაყვანა.
8. ჭიათურაში საბჭოს საჭიროებისათვის შენობის აგება.
9. მდ. ყვირილისა და რიონის დაცვა გაბინძურებისაგან.
10. **რკინის გზის საქმეები:** ა. საბჭოს ნება მიეცეს ისარგებლოს მთავარი ლიანდაგის ტელეფონებით, ბ. სამგზავრო ვაგონების უკეთ განათება, გ. პატარა ჭიქოურაში სადგურის მოწყობა, დ. შორაპნის სადგურის გადიდება, ე. დარკვეთისა და ჭიათურის სადგურებ შუა მეორე გზის გაკეთების დაჩქარება, ვ. ჭიათურაში საქვეითო გასადები ხიდის მოწყობა, ზ. ჭიათურის გზების მოხრეშვა და წესიერათ დაცვა, ჱ. ჭიათურის ბილიკებისა და საწყობების განათება, თ. სასადგურო ტარიფის დაწესება, როგორც მგზავრებისა ისე ყოველგვარ საქონელზე გარდა შავიქვისა, ი. სხვა საკითხებიც მადნეულის გადატანის გასაუმჯობესებლათ.
11. მაღაროების მრეწველთა მუშების უზრუნველყოფა სააქიმო საშუალების დახმარებით.
12. სამრეწველო საავათმყოფოს გაფართოება და მიდამოებში საფერშლო ადგილების დანიშვნა.
13. მუშების დაზღვევის ორგანიზაციისა და ახალი კანონით საავათმყოფო კასების მოწყობა.
14. ჭიათურის „პოსადათ“ გარდაქმნა და მარტივ თვითმართველობის შემოღება.
15. ჭიათურის საქალაქო შკოლის გადაკეთება სამთო ტეხნიკური განყოფილებით.
16. ჭიათურის საქალებო შკოლის საბჭოს მიერ თავის მფარველობის ქვეშ მიღება.
17. სათადარიგო თანხის დაწესება საბჭოს სხვადასხვა საჭიროებისათვის.
18. 1913 წ. ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
19. თანამდებობის პირთა არჩევა.

ჭიათურის შავი-ქვის სარეცხ მექარხნეთა საყურადღებოთ: სატრიალებელი ღვედები Т-ва „Треугольникъ“-ისა წარმომადგენელი ჭიათურაში: ძმ. ბ. გ. და მ. ლომაძე.

აქიმი ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს.

თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

აქიმი ი. **ტოგონიძე** იღებს შინაგან, ქალის სნეულებით და საზებით ავათმყოფთ.

ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ, ჩილინგაროვის სახლებში.

აქიმი ვ. ს. **ფეშინი** ქირურგიული და საშარდის ავათმყოფობა (ცისტოსკოპია საშარდე) ბუშტის ელექტრონით გამოკვლევა კატერიზაცია თირკმლის. მიღება 12—2 საათ. და 4—6 ს.

გოშპიტლის ქუჩა.

ქირავდება

ერთი ოთახი, თფილისის ქუჩაზე დეპუტატთა საკრებულოს გვერდით. პირობების გაგება შეიძლება გაზ. „იმერეთის“ რედაქციაში.

აქიმი. გ. დ. **ნასარიძე** და მისი და ე. დ. **ნასარიძის ასული** გადმოვიდნენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

ბებია ქალი

ო. დონდუას ასული

აქიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.

პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მ. გალანჩივაძისა.

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება. ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.

გენერლის ქუჩა აქიმი ს. დორთქიფანიძის სახლი.

აქიმი ი. ჩარექოვი.

დაბრუნდა აგარაკიდან და იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.

ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი თოსელიანის სახლი.

დღიური

რუმინიამ განაცხადა სილისტრია მომეცითო. ბულგარეთმა უარით უპასუხა.

— შავმთიელებმა სკუტარში ოსმალების ჯარის უფროსს წინადადება მისცეს დაგვნებდითო. ჯარის უფროსმა უპასუხა —სისხლის უკანასკნელ წვეთამდი ვიბრძოლებთო.

— კიევში ჭეშმარიტმა რუსებმა ავსტრიის საელჩოს მელნით სავსე შუშები დაუშინეს.

მშვიდობიანობის შესახებ კრებას ბალკანეთის სახელმწიფოების მეფეებიც დაესწრებიან.

— მშვიდობიანობის ჩამოგდების შემდეგ ადრიანოპოლი და კირკილისი ისევ ოსმალეთს დაუბრუნდებაო.

— ცნობაა—სამთა კავშირის არც ერთ სახელმწიფოს არ დაუშლია ბალკანეთის სახელმწიფოებისათვის სტამბოლის აღებაო.

— ოსმალეთისა და ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის შუამავლობა რუსის ელჩმა გირსმა იკისრა.

— ოსმალეთის პირველი მინისტრი ვენას წავიდა.

— ოსმალეთის ჯარში 500 კაცი გამხთარა ხოლერით ავათ.

— ლოძში ათასზე მეტი ფეიქარი გაიფიცა. წამოაყენეს ეკონომიური მოთხოვნილება.

— რიგაში ასოთ-ამწყობთა გაფიცვის გამო გაზეთები არ გამოდის. ებრაელ ასოთ-ამწყობებს ქალაქიდან აძევებენ.

— არჩევნების გათავების შემდეგ პეტერბურგში რუსეთის გუბერნატორები თავს მოიყრიან.

— 64 კადეტი დეპუტატია არჩეული.

— სტამბოლში შავი ჭირით მოკვდა ოსმალეთის ჯარის უფროსი ალირიზა.

— სტამბოლის აღებაზე ბულგარეთს ხელი აუღია, რადგან იქ შავი ჭირია გავრცელებულიო.

— ხონთქარმა ყველა სახელმწიფოს მიმართა თხოვნით მტრებთან შემარიგეთო.

„შრომის კავშირი“

(ახალი საკოოპერაციო ორგანო).

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩვენში პრაქტიკული კოოპერატიული მოძრაობა გაჩნდა. კოოპერაცია, მართალია, უცნობი არც მანამდი იყო, ხოლო იგი უფრო თეორეტიული მოძღვრება იყო და რეალურ საქმეს არ წარმოადგენდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც უფრო გამწვავდა ეკონომიური ბრძოლა ორ მოპირდაპირე კლასთა შორის და ამასთანავე მშრომელმა მასამ უკეთ გაითვალისწინა თვისი მდგომარეობა, მეტის შეგნების პატრონი შეიქმნა, სიტყვაც საქმეთ იქცა: კოოპერაცია დღეს პრაქტიკული მოღვაწეობაა და ხალხური ცხოვრების არა ერთმა დარგმა, რაზეაც წინათ ჩვენი მოჭირნახულე გულშემატკივარი ინტელიგენტები მხოლოდ ოცნებობდენ, ხორცი შეისხა.

კოოპერატიული მოძრაობის ასეთ ზრდაში, ე. ი. სიტყვის საქმეთ გარდაქცევაში არა მცირე სამსახური მიუძღვის ბეჭდვით სიტყვასაც.

ბეჭდვითმა სიტყვამ, პერიოდული პრესის სახით, ჩვენში თვით საქმესაც კი გაუსწრო სხვადასხვა კატეგორიის კოოპერატივებთან ერთად დასავლეთ საქართველოში ერთი—სპეციალური ჟურნალი გაჩნდა, რომელსაც დღეს მეორე ორგანოც დაერთო—„შრომის კავშირი“. კოოპერატიულ ლიტერატურის გამდიდრების მხრივ ეს ისეთი წარმატებაა, რომელიც ზოგიერთ უფრო განვითარებულ ქვეყანასაც, ჩვენზე უფრო კულტურით მაღლა მდგომ პატარა ერსაც კი შეშურდებოდა. სპეციალურ ჟურნალ-გაზეთებს ყველგან ერთობ ვიწროთ შემოფარგლული წრე მკითხველებისა ყავს. რა თქმა უნდა, ფართო წრე არც კოოპერატიულ ორგანოებს გააჩნია. ჩვენში კი, სადაც თვით საზოგადო ხასიათის პრესა სუსტია, სულს ღაფავს, კოოპერატიული ჟურნალის მკითხველთა რაოდენობა, მოსალოდნელი იყო, რამდენიმე ათეულს არ გასცილდებოდა. ეს გარემოება ერთი-ორათ აორკეცებს საზოგადოებრივ სამსახურს მის დამაარსებლისას. თუ საზოგადო ქართული პრესა ძნელ პირობებში, სპეციალური კიდევ უარეს ყოფას განიცდის თუ ნივთიერათ და თუ თანამშრომელთა მხრივ. ვინაიდან ჩვენში თითო-ოროლას თუ აქვს შეთვისებული თეორია და პრაქტიკა კოოპერაციისა. და მიუხედავათ ასეთ მძიმე პირობათა, კოოპერატიულ-პრაქტიკულ მოღვაწეობას ჩვენში სპეციალური პერიოდული ლიტერატურაც თან დაყვა. დიახ, დიდი მადლობის ღირსია ბ. ი. გაბილაია, რომელიც ასეთ პირობებს არ შეუშინდა, გადალახა ყოველი დაბრკოლება და დღემდი პირნათლად უძღვება ჟურნალ „კოოპერაციას“, რომელსაც, როგორც ვთქვით, „შრომის კავშირიც“ მიემატა. ძნელია, მეტად ძნელი იქ რისამე თაოსნობა, სადაც თანამგრძნობიც ცოტა გყავს და ნივთიერი საშუალებაც თითქმის არავითარი. საჭიროა უზომო მოთმინება, სული გრძელი, დიდი მხნეობა და სიყვარული საქმისადმი, რომ ასეთ გარემოებათ ანგარიში არ გაუწიო და გასწიაო შენი მძიმე უღელი თავაუღებლივ, დაუღალავათ „მხოლოდ ამ იშვიათ თვისებათა წყალობით, ბ-მა გაბილაიამ მოიყვანა დღემდი სპეციალური ჟურნალის გამოცემის საქმე. მან თავისი მხნეობით ჩვენი ძველი დროის ერთი ჟურნალისტი მოგვაგონა, რომელიც რედაქტორიც თვითონ იყო, გამომცემელიც და გამავრცელებელიც.

ავიღოთ თუნდ პირველი ნუმერი ამ ახლად გამოცემული „შრომის კავშირისა“. ეტყობა, მის ხელმძღვანელს არაფერი დაუკლია, რომ ნუმერი რაც შეიძლება მრავალფეროვანი და შინაარსიანი გამოსულიყო. თქვენ აქ ნახავთ რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის კოოპერაციის ცხოვრებიდან ქრონიკას, წერილებს საკოოპერაციო მოძრაობას შესახებ ისეთ კოოპერატიულათ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიც არის ინგლისი და ბელგია; თქვენ აქ იპოვით შესანიშნავი ადამიანი, გამოჩენილი სოციალისტის რობერტ ოუენის ცხოვრების და მისი სოციალური მოღვაწეობის აღწერას, რუსის ცნობილ პოლიტიკო-ეკონომიის პროფ. ჟელეზნოვის მეცნიერულ წერილს დასაწყის წვრილი კრედიტის შესახებ და სხ. და სხ. ამ ნუმერშივე განმარტებულია საკითხი კოოპერატივების დამოკიდებულებისა თეატრისადმი და საზოგადოთ გონივრულ გასართობებისადმი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთი კოოპერატიულ ორგანოსათვის შესაფერი პიესის თარგმანიც კი არის მოთავსებული, ისეთი პიესის, რომელმაც რუსეთის კოოპერატორებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

საერთოდ, პირველი ნუმერი „შრომის კავშირისა“ მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს. მას საქმისადმი დიდი სიყვარულის და მეცადინეობის ბეჭედი ასვია. წერილები დასაბუთებული და შინაარსიანი, ადვილი, გასაგები ენით; ხალხის ცხოვრების მრავალ მწვავე მხარეს, მის ჭირვარამს ეხება. ვისურვოთ, რომ ამ ჩინებულათ დაწყებულ საქმეს წარმატებითი და ნაყოფიერი მსვლელობა არ მოკლებოდეს, ხოლო ჩვენი საზოგადოება მეტის თანაგრძნობით მოკიდებოდეს მას...

გრ. გველესიანი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ოკტომბრის განმავლობაში ჭიათურიდან 2,690,700 ფუთი შავიქვა გაუზიდავთ.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭო ჭიათურას გაემგზავრა, სადაც მორიგი სხდომები ექნება.

✦ ოკტომბერში ბათომის ნავსადგურიდან 708.746 ფუთი და ფოთიდან 1,562,960 ფ. შავიქვა გაუტანიათ.

✦ ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის გამგე ი. ი. ოცხელი, რომელსაც მინდობილი აქვს ილია ჭავჭავაძის თხზულების მ. გედევანიშვილის გამოცემაზე ხელის მოწერა, სთხოვს ყველას დააჩქარონ, როგორც ხელის მოწერა ისე დარჩენილი ფულის შემოტანა ამა ნოემბრის დამლევამდი.

✦ ჭიათურაში ბ. კიკალეიშვილის თაოსნობით პანაშვიდი გადაუხდიათ განსვენებული ივ. შარაშიძის სულის მოსახსენებლათ. ხალხი პანაშვიდს ბლომათ დასწრებია და გრძნობიერი სიტყვებიც უთქვამთ.

✦ ქუთაისის დრამატიული საზოგადოება სახსარის გასაძლიერებლათ ადგილობრივ კლუბში პირველ ქრისტეშობის თვეს საღამოს გამართავს.

✦ ამ სეზონში ბენეფისები აქვთ ნ. ჩხეიძისა დ. მ. მდივნის ასულთ, ბ. ბ. მ. ქორელს ა. იმედაშვილს გ. არადელიშხნელსა და ნ. გვარაძეს. ბენეფისები დაიწყება 29 ნოემბრიდან.

✦ ფოთში ამ ახლო ხანში გაიმართება ლიტერატურული გასამართლება ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ გმირისა.

✦ დღეს გამოვა ჟურნალი „ჩვენი თეატრი“ რომელიც ორ კაპიკათ გაიყიდება.

✦ შორაპნის წ. კ. საზოგადოების განყოფილებას ბანკიდან გამოუყიდია ძველი დამწვარი თეატრის შენობა. განყოფილება ამ ახლო ხანში შეუდგება ახალ სათეატრო შენობის აგებას.

✦ მგოსანი აკაკი კვირას ხონს მიდის ივანე შარაშიძის დასაფლავებაზე დასასწრებლათ.

✦ ხონის წ. კ. საზოგადოების გამგეობის თავჯდომარეთ ქ-ნი ეკატერინე ბახტაძისა აურჩევიათ.

ამავე საზოგადოების გამგეობიდან გასულა ქ-ნი სანაძის ასული ბ. ბ. ალ. ჭიჭინაძე, ბ. ქუთათელაძე ე. კიწმარიშვილი და ე. ცაგარეიშვილი. ხონის საზოგადოება გაკვირვებულია და ვერ მიმხვდარა, რამ გამოიწვია, რომ ამ ახლად არჩეულმა პირებმა საზოგადო საქმის სამსახურს თავი დანებესო.

✦ დავით ოტიას ძის ნიჟარაძი შვილს ე. ნიჟარაძეს პოლიციელის შეურაცყოფისათვის საოლქო სასამართლომ მიუსაჯა 3 თვით ციხე. ახლა როგორც „ზაკ. რეჩს“ გაუგია, მამის შუამდგომლობით უმაღლეს მთავრობას სასჯელი შეუმსუბუქებია ორი დღის შინაურული დატუსაღებით.

✦ თფილისის საოლქო სასამართლომ ჟურნალისტს ყიფიანს 25 მან. ჯარიმა ან ხუთი დღით დატუსაღება მიუსაჯა. მას დიფამაციას უჩიოდა ბოქაულათ ნამყოფი ციციშვილი, რომელმაც ამას წინათ დარაჯები მიუსია და აცემინა მწერალი ილ. ნაკაშიძე. ლ. ყიფიანმა ამ ინციდენტის გამო წერილი მოათავსა ქართ. ბაქოს გაზეთში.

✦ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ორი დედა—მარიამ თაყაიშვილისა და ეფემია ძნელაძისა, რომელთაც გადმოგვცეს რომ ეს მეოთხე დღეა ჩვენი შვილები შიმშილით გვეხოცება ციხეშიო. ტუსაღებს შიმშილობა გამოუცხადებიათ იმის გამო, რომ ზოგიერთების საქმე წელიწად ნახევარია გაურჩეველი რჩება და გამოურკვეველ ყოფაში არიანო.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ მიიღო „ნაკადულის“ მე—20 ნუმერი მცირეწლოვანთათვის და მე 10 ნ, მოზდილთათვის. ხელის მომწერლებს შეუძლიათ მოიკითხონ იგი კანტორადან.

✦ კანტორამ მიიღო გასაყიდათ გამომცემლობა „კაპეიკას“ გამოცემა— „Солнце россіи“, ჟურნალი მთელათ ტოლსტოის ხსოვნას ეკუთვნის და საუცხოვოთ დასურათებულია.

შეცთომის გასწორება. ცაცა დარახველიძის ასულის წერილში, რომელიც მოთავსებულია ჩვენი გაზეთის 37 ნუმერში შემდეგი შეცთომაა: ქალთა საზოგადოებიდან გადაწყვეტილია ქ. კოოპ. ამხანაგობის მაღაზიის დაარსება, უნდა იყოს:—სახელოსნო შკოლის დაარსება.

ივანე სიმონის ძის შარაშიძის

ხსოვნას.

ცოდნის გავრცელება, სწავლის მოფენა იმ კუთხეში, სადაც ცხოვრობდა თვითონ—აი, მიზანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში განსვენებული ივანე შარაშიძისა. ამ მიზნის მიმდევარი, საზოგადო საქმეებით გატაცებული, იგი სრულიად არ ზრუნავდა თავისი კერძო საქმეები მოეწყო და მოეგვარებია, რის გამო მატერიალურათ თვით ხშირათ შევიწროებულ მდგომარეობაში ვარდებოდა. მისი საზრუნავი ახალ სასწავლებელთა შეძენა იყო დაბა ხონისათვის, მის მუდმივ სურვილს ამ სასწავლებელთა სწავლა-აღზრდის საქმის კარგ ნიადაგზე დაყენება შეადგენდა. მას შეეძლო, უნარი ქონდა ხალხი დაარწმუნებია და ამას ის ყოველთვის ხალხის სასარგებლოთ იყენებდა. დღეს დაბა ხონი იმდენათ დაწინაურდა, რომ სასწავლებელთა რიცხვით ბევრს საგუბერნიო ქალაქსაც არ ჩამოუვარდება. ნეტავი იმ დაბას, რომელსაც ისეთი მზრუნველი ეყოლება, როგორიც განსვენებული იყო! ვის არ ახსოვს ივანეს გულკეთილობა: ის ყველასათვის მზათ იყო, რითაც კი შეეძლო, დახმარება აღმოჩინა.

ახალი ღმერთი.

სანახავი ორ სურათად.

(ვუძღვნი დიტო უზნაძეს).

აფროდიტა—მშვენიერების ღმერთი.
მთავარი—კვიპროსის კუნძულისა.
ათინელი—მგოსანი.
ჰერმესი—შიკრიკი ოლიმპის მთიდან.
მოხუცნი, მოქალაქენი, სტუმრები, მსახურნი.

პირველი სურათი.

(სცენა წარმოადგენს ფართო მოედანს. აქაიქ მარმარილოს ბოძები მოჩანს. ქვის ჩამოსაჯდომები. მდინარის ხმაურობა შორიდან მოისმის. მოქალაქენი ჯგუფ-ჯგუფათ სდგანან, წრე შეუკრავთ და სხვადასხვა საგნებზე მსჯელობენ).

I.

პირველი წრე.

პირველი მოქალაქე: პელოსი შემცთარია, როცა ცხოვრების გაჩენის უპირველეს მიზნათ რაღაც ისეთ ძალას ასახელებს, რაც თვითონვე კარგათ ვერ წარმოუდგენია. სიბრძნე იმიტომ არის სიბრძნე, რომ გარკვეული, ნათელი უნდა იყოს და არა ბუნდოვანი...

მეორე მოქალაქე. პელოსი ჯერ სულ ახალგაზდაა, იმის ხანში სხვები უფრო სიამოვნების წალკოტში ნეტარებენ, ვიდრე გონების ვარჯიშობაში...

პირველი მოქალაქე: (ცხარეთ) შრომა დასრულებული და მტკიცე საფუძველზე აგებული უნდა იყოს, თუ კი იგი საზოგადოებისათვის არის დანიშნული...

მეორე მოქალაქე. მართალია, მაგრამ ახალგაზდას აზრის ისეთი სისრულე არ მოეთხოვება როგორც ხანში შესულს...

მესამე მოქალაქე: აბა, თქვენ, ეი, ყური დაუგდეთ, რას სწერს პელოსი ცხოვრების შესახებ. (წიგნს გადაშლის და ხმამაღლა კითხულობს სხვები უსმენენ).

მეორე წრე.

მეოთხე მოქალაქე: დღის სინათლესავით ნათელია:—ხალხი, რომელიც ვაჭრობას არ ეტანება, დაღუპულია... იცით ვაჭრობა რა არის? ვაჭრობა ერთა შორის მეგობრობის დამკვიდრების უალრესი საშვალებაა.. ხალხს ხომალდები უნდა ქონდეს... უნდა მიმოდიოდეს... ერთი კუთხიდან მეორეს უნდა სწვდებოდეს მისი გამჭრიახობა... ვაჭრობა უხილავი ჯაჭვით აკავშირებს ერთ ერს მეორესთან და ეს კავშირია ერის...

მეხუთე მოქალაქე: (გააწყვეტიებს საუბარს). ამ ქებულმა ვაჭრობამ მთელი კვიპროსი გაალატაკა... საუკეთესო რაც გაგვაჩნდა, ვაჭრებმა უცხოეთში გაზიდეს .. ჩვენ კი გვერგო საფუფუნო საგნები და ცოტა მჩატე ზნე-ჩვეულებაც გვეწვია მათი წყალობით...

მეოთხე მოქალაქე: (დინჯათ). ტყუილათ ცხარობ, მეგობარო; ვაჭრობამ ძალიან წინ წაგვწია... დიდი წარმატება მოგვცა... ერთ დროს კვიპროსი სიღარიბისაგან სულს ღაფავდა და ახლა შეხედე. თუ წინსვლა არ ეტყობა...

მეექვსე მოქალაქე: მართალია, მართალი...

მესამე წრე.

მეშვიდე მოქალაქე (ხმა მაღლა). არა, ე მაგ ჭიდაობის ფანდი ასეა... მარჯვენა ხელი კისერში უნდა დაავლო, აი, ასე (ამხანაგზე ცდის); შემდეგ მარჯვენა ფეხით, მოწინააღმდეგის მარცხენა ფეხს უნდა სარმა გაკრა, კისერზე ხელი გაუშვა და მკერდზე უბიძგო...

ხმები. ჩინებული ხერხია, სწორეთ რომ ჩინებულია...

მერვე მოქალაქე: ჩვენი ვარჯიშობის მასწავლებელი მართლაც რომ ნიჭიერი კაცია. რომ შეხედო, იტყვი, ბრინჯაოდან ჩამოუსხამთ მისი ტანიო... კაცს მაგარი ტანი უნდა ქონდეს... მაგარი როგორც რკინა...

მეცხრე მოქალაქე: სწორეთ ისეთი, როგორც ჩვენს ვარჯიშობის მასწავლებელს აქვს...

მეშვიდე მოქალაქე: მერე რა მარდი და მარჯვეა... კაცის სიმაღლეზე ხტება...

მერვე მოქალაქე: შენს სიმაღლეზე რომ შეხტეს ამით სიმარდეს ვერ დაამტკიცებს! (სიცილი).

პირველი წრე.

პირველი მოქალაქე: ხანდახან პელოსი ისე მშვენიერათ გამოსთქვამს, რომ იტყვი—მთიდან ჩამონასხლეტი ნაკადულის ხმაურობაო...

მეორე მოქალაქე. მასთან რა ბუნდოვანია, კაცო, რა ბუნდოვანი—ყური უგდე (ჩუმათ კითხულობს) ხა! ხა! ხა! ეგ ადამიანი უცნაურს რასმე გვამცნობებს...

პირველი მოქალაქე: აზრს აზრსთან ვერ აკავშირებს...

მეორე მოქალაქე: ხა! ხა! ხა! (ხმამაღლა იცინის).

მეორე წრე.

მეოთხე მოქალაქე: რა გაღრიალებთ? განა არ იცით, საჯარო მოედანზე ხმამაღლა სიცილი რომ აკრძალულია.

პირველი წრე.

მეორე მოქალაქე: (წიგნის კითხვას თავს ანებებს). შენ ვინ მოგიწვია ჩვენ დამრიგებლათ?! ხმა გაკმინდე, თვარა ზევესს ვფიცავ, ჩვენი ვარჯიშობის მასწავლებლისაგან მიღებულ ცოდნას შენს ძვალ-რბილზე ავავარჯიშებ...

მეორე წრე.

მეექვსე მოქალაქე: (ზიზღით) თქვენ მკლავების ვარჯიშობის მეტი არა იცით რა, არამზადებო!..

მეხუთე მოქალაქე: (ამშვიდებს). დაეხსენი, მეგობარო. ეგენი წიგნებში ვითომ სიბრძნეს ეძებენ, ცხოვრებაში კი მუჯლუგუნით შედიან...

პირველი წრე.

მეორე მოქალაქე: (გაჯავრებული). დაჩუმდით-მეთქი... თვარა...

პირველი მოქალაქე: დაეთხოვე.. დაეთხოვე, გულს ნუ მოიყვან...

მეორე რწე.

მეოთხე მოქალაქე: (თავისთვის). გამოდიან მოედანზე და თავის დაჭერა კი არ შეუძლიათ...

პირველი წრე.

მესამე მოქალაქე: კარგია, გეყოფათ... თვარა ზევესს ვფიცავ, მოთმინების ფიალა აივსო...

მეორე წრე.

მეექვსე მოქალაქე: ეგ ფიალა, აი ამ ბოძთან დალეწე, ვინ იცის, იქნება, ყვავილები გამოიტანოს...

პირველი წრე.

მეორე მოქალაქე: მეტი მოთმენა არ შემიძლია... (გაიქცევა მეორე წრისკენ, მას ამხანაგები დაედევნებიან. წრეები დაიშლება).

მეექვსე მოქალაქე: თქვენ, საჯარო მოედანზე თავის დაჭერა არ იცით!..

მეორე მოქალაქე: (გულმოსული). თქვენ კი ზღილობა გაკლიათ და თავაზიანობა გლალატობთ...

მეხუთე მოქალაქე (დამშვიდებით). დაგვიმტკიცეთ!

მეექვსე მოქალაქე: ეგ გეომეტრიის გამოცანა არ არის...

მესამე მოქალაქე: დამტკიცება ყველაფერს უნდა, სიმართლე მარტო გეომეტრიის გამოცანებში როდია საძებარი. . სიმართლე ყველგან უნდა ვეძიოთ...

(ხმაურობა, კინკლაობა).

II.

(შემოდის კვიპროსის მთავარი მდიდრულად მორთული; ზის თოვლივით თეთრ ცხენზე; მოედანზე არეულ ხალხს რომ დაინახავს, უნაგირზე გამართება).

მთავარი: კვიპროსის მცხოვრებნო! ეგ რა მოგსვლიათ?! სირცხვილი თქვენ!.. თქვენი ცხარე მსჯელობა მალე, ვხედავ ჩხუბათ შეიცვლება... ვატყობ, ხასიათი გიფუჭდებათ...

ხმები: ეგ შეუძლებელია... თავი სწავლულათ მოაქვთ!..

— იგინებიან...

— საჯარო მოედანზე მშვიდობა უნდა იყოს...

— შეუძლებელია ჩვენი ასე აბუჩათ აგდება.

მთავარი: (აღელვებული). კვიპროსის მოქალაქენო! ჯარიმა ხომ არ მოგწყურდათ?! დაწყნარდით... დაწყნარდით-მეთქი! მითხარით, რა მოხდა? სთქვი შენ!

პირველი მოხუცი: ისეთი არაფერი, რომ მას ხელი მოელოდა... აქ სიტყვა სიტყვაზე მოყვა, მას კინკლაობა ზედ დაერთო და ის სურათი გადიშალა, რომელიც ეხლა ნახეთ.

მთავარი: (გულმოსული). დამნაშავეს დავაჯარიმებ... მოედანზე სიმშვიდე უნდა სუფევდეს და არა თავზე ხელ-აღებულობა თავაშვი...

III.

(იგინივე და მგოსანი, რომელსაც შავი გრძელი ტანისამოსი აცვია, თავზე დაფნის გვირგვინი, ხელში ქნარი უჭირავს).

მგოსანი: მოქალაქენო!... მოქალაქენო!... რა ენაზე... რა ენაზე... (ყურადღებას არავინ აქცევს) არ გესმით, თქვენ მოქალაქენო! ზღვის პირას ისეთი რამ მოვლენა ვნახე, რომელიც თქვენ ძილშიაც არ გასიზმრებიათ...

ერთი ხმა. დახურდი მგოსანო!

მგოსანი. მოქალაქენო! (ხმა მაღლა) დღეს ზღვის ზედა პირზე სასწაული რამ მოხდა...

დღეს ასეთი ძვირფასი ადამიანი აღარა გვყავს, ხვალ მას ცივ მიწას მიაბარებენ. მაგრამ ჩვენი ვალია იგი მუდამ გვახსოვდეს, არ დავაგდოთ ის ძვირფასი საქმეები, რასაც განსვენებული მთელი თავისი არსებით ემსახურებოდა. ჩვენი ვალია განსვენებულის ანდერძის გამო ახლავე შევუდგეთ სახალხო სახლისათვის ფონდის შეგროვებას. სახალხო სახლი აშენდეს უნდა განსვენებულის მიერ ნაანდერძევ ადგილზე და დაერქვას მისი სახელი. ეს იქნება სამარადისო და საუკეთესო ძეგლი განსვენებულის სახსოვრათ აგებული.

ნესტორ კიკალიშვილი.

რა აძლიერებს თვითდაცვის ძალას ადამიანის სხეულში.

სამეცნიერო წერილი.

გუძღვნი სიდოვან ხუნდაძეს.

I.

სიცოცხლე მუდმივ ბრძოლაა სიკვდილთანაო, სთქვა მეცნიერმა ბუშმა; სულიერი არსებანი გაჩენილი არიან სიცოცხლისათვის, ბუნება წარმოადგენს ცოცხალს მატერიას, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ რაც შეიძლება მეტი იცოცხლოს.

დაბალ არსებათა შორის გასაოცარია სიმრავლე ნაყოფიერებისა. უმაღლეს სულიერ არსებათა სიცოცხლე კი იმ გვარათ არის შეიარაღებული, რომ თუმცა იმათ გარშემო მუდმივ მრავალი მტერია, მუდმივ არსებობის ბრძოლაში არიან, მაგრამ მაინც გამარჯვებული რჩებიან და მათი რიცხვი დღითი-დღე მრავალდება.

სულიერი არსება ქვეყნათ რო ჩნდება, თითქო ნაბრძანები აქვს—რაც შეიძლება მეტი იცოცხლოს ქვეყნათ და გამარჯვებული იყოს არსებობის ბრძოლაში.

ეს განუწყვეტლი ბრძოლა ბუნებაში გამოწვეულია იმით, რომ ყოველი სულიერი არსება ცდილობს მოიპოვოს საზდო ცხოვრებისა და, აი, ამიტომ ყოველი მათგანი არის მტაცებელი ერთი მეორისა; თვით ადამიანიც კი, ერთი ძველი ანდაზისა არ იყოს, ცელია თავის მოძმისთვის; სააქამო მეჯლისი, როგორც მალტუსი ამბობს, ყველასთვის როდი არის მომზადებული, ხოლო ყველა კი მიისწრაფვის იმისკენ. ბუნება რომ ისე იყოს განაწილებული, რომ ყველას შეეძლოს იმის მოპოვება, რაც მას დააკმაყოფილებს, მაშინ არც ამდენი ტანჯვა და გამგელება იქნება ქვეყანაზე; მაშასადამე არც ბრძოლა არსებობისათვის გაჩნდებოდა ქვეყანათ, როგორც საყოველთაო ბუნებრივი კანონი.

მართლაც ადამიანი დაიბადება თუ არა განუწყვეტელ ბრძოლაშია არსებობისათვის, მხოლოდ სიკვდილი უღებს ბოლოს ამ ბრძოლას.

მაგრამ ამ საყოველთაო ბრძოლაში კიდევ უფრო სასტიკია ის განსაცდელი, რომელიც ადამიანს ყოველჟამს მოელის სხვადასხვა გვარ და მრავალ ავათმყოფობათაგან.

ადამიანმა, გონების განვითარებისთანავე, დაუწყო დაკვირებით შესწავლა იმ გარემოებათ, რომლებშიც იგი იმყოფებოდა; გამოუცხადა ულმობელი ომი იმას, რაც მისთვის მავნე იყო, რასაც მის ჯანმრთელობისათვის შეეძლო ზარალის მიყენება.

აი, ეს დაკვირვებანი და ცოდნანი, რაც ადამიანმა აქ მოიხვეჭა, შეიქნენ იმ საძირკვლათ, რომელზეც შემდეგ მედიცინა აშენდა.

დასაწყისში, მედიცინა სუსტი და ისე ბუნდოვანი იყო, რომ არც ადამიანის სხეულის აგებულება იცოდა, არც შესწავლილი ქონდა იმ ძალების ბუნება, რომელიც მავნენი იყვნენ მისთვის, მაშასადამე არც საშვალება ბრძოლისა ქონდა მათთან. ამიტომ მედიცინა მიდიოდა წინ თვალ-ახვეული ცთიდა; სხვადასხვა საშუალებას, ბალეხებს და სხვა ნივთიერებათ, რაც ასე უხვათ არის გაბნეული ბუნებაში.

მართლაც, თანდათან ამ დიდ ხროვათა შორის, კიდევაც მიაგნო ზოგიერთ წამალს, როგორც მაგალითად, ქინა, რომელიც კურნავს ციებ-ცხელებით ავათმყოფს, ყაყაჩო, რომელშიც არის დამაძინებელი და ტკივილის მომსპობი ძალა—თრიაქი, ვერცხლის წყალი სიფილისის გამკურნავი, სხვადასხვა გვარი გამკურნავი თვისების ფოთლები და ბალახები...

ჩვენდა საუბედუროთ, მრავალგვარია ადამიანის ავათმყოფობანი, ფრიად დიდ ტანჯვას განიცდის ადამიანი, სნეული შვებას თხოულობდა, საჭირო იყო წამალი, მედიცინა კი ფრიად ღარიბი იყო, და ხშირათ იგი სრულებით უძლური იყო შეემსუბუქებია ტანჯვა დავრდომილისა. ამიტომ ადამიანი იძულებული იყო მიემართა მკითხავებისთვის, ეძიებდა შვებას სხვადასხვა შელოცვებში და ამგვარ ბნელ ძალებში.

II. გავიდა საუკუნოები და მედიცინა თანდათან განვითარდა, მიიღო მეცნიერული საფუძველი, შეისწავლეს ადამიანის სხეულის აგებულება. ადამიანის გვამის გაჭრამ ნათლათ დაგვანახვა მისი ჰარმონიული, მწყობრი მუშაობა სხეულის სხვადასხვა ორგანოთა შორის.

მიკროსკოპის საშვალებით აღმოაჩინეს პაწაწკინა თვალით, უხილავი არსებანი—მიკრობები, რომელნიც, როგორც თანდათან აღმოჩნდა, ყოფილან მიზეზი მრავალი სხვადასხვა სნეულობისა.

აღმოჩნდა რომ რამდენათ ადამიანი უფრო ცუდ გარემოებაში სცხოვრობს, იმდენათ უფრო ძლიერია ეს მტერი, უფრო ადვილათ შხამავს ადამიანს, იმდენათ უფრო ნაკლებათ სუსტია სხეული შეებრძოლოს მათ.

როდესაც გაიცნობთ მტერს, შეისწავლით მის თვისებებს, მის ძალასა და სუსტ მხარეებს, ბრძოლაც უფრო ადვილი შეიქნება მასთან. თანდათან გამოირკვა რომ ეს საშინელი მტერი ჩვენი ჯანმრთელობისა. მთლად მოდებული ყოფილა მთელ ქვეყნიერებაზე: ჰაერი, წყალი, მიწის ნიადაგი, თვით ცოცხალი არსების სხეულიც კი სავსე ყოფილა მიკრობების უთვალავი რიცხვით. დაიბადება თუ არა ადამიანი, პირველათ შესუნთქავს ჰაერს და ჩაყლაპავს პირველს ნერწყვს, იმის სასუნთქავსა და საჭმლის მოსანელებელ ორგანოებს შეესევა მიკრობები.

ადამიანის კანზე, პირში კუჭში, ნაწლავებში და სასუნთქავ ორგანოებში შეგიძლიან მრავალი და მრავალი სხვადასხვა მიკრობები აღმოაჩინოთ და მათ შორის ძლიერ შხამიანიც.

ამასთანავე ისიც გამოირკვა, რომ თვით ადამიანის სხეულში ყოფილა მრავალი ისეთი ძალაც, რომლითაც სხეულს შეუძლია ბრძოლა ამ უთვალავი მტრები წინააღმდეგ.

გაამრავლა რა ასე გასაოცრათ ბუნებამ ეს ჩვენი პაწაწკინა მტრები—მიკრობები, არც ჩვენ დაგვივიწყა, ჩვენც მოგვცა იარაღი ბრძოლისა, რომლის საშუალებით ადამიანის სხეული იგებებს მათ. ცოცხალ ადამიანს რომ მართლა ბუნებრივი ძალა აქვს ბრძოლისა მიკრობების წინააღმდეგ, სხვათაშორის იქიდანაც ჩანს, რომ როგორც კი ჩვენი სხეული კარგავს სიცოცხლეს, მაშასადამე ამ ძალას, მაშინვე ხდება ულონო; უსულო გვამში მიკრობების გამრავლება ფრიად სწრაფია, გვამი მათის გავლენით იხრწნება და ბოლოს სრულებით იშლება.

ის უთვალავი რიცხვი მიკრობებისა, რომელნიც ადამიანის სხეულის კანზე და პირშია, ვერას აკლებენ მას; თუ რომ კანისა და ლორწიანის გარსის მთლიანობა დაურღვეველია, შეუძლებელია, რომ მიკრობებმა მასში გასწიონ და გადვიდენ სისხლში.

ხოლო რაც შეეხება იმ მიკრობებს, რომელნიც სხეულის შინაგან ორგანოებში არიან, მათ ასუსტებენ, სჩაგრავენ და ანელებენ მათ მიერ გამონადენ შხამს ამ ორგანოების გამონადენი სითხენი.

თვით სისხლშიც ისეთი ნაწილებია გახსნილი, რომელთაც გამანადგურებელი ძალა აქვს მიკრობების წინააღმდეგ.

ყველა ეს სხეულის დამცველი იარაღი მაშინ არის ძლიერი, ამ ძალებს მაშინ აქვთ გამანადგურებელი თვისება, როდესაც თვით სხეულიც ძლიერია, მის ორგანოთა მოქმედების და მუშაობის თანასწორობა დარღვეული არ არის, ჰარმონიულია, თუ რომ ადამიანი ნორმალურათ იკვებება.

III

დიახ, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იკვებება ადამიანი, იღებს იგი თუ არა შესაფერ საჭმელს!

ადამიანის სხეული შედგება მრავალი უჯრედისაგან; ყოველი უჯრედის თვისებათა საჭირო ნივთიერების შეთვისება იმ საჭმლიდან, რომლითაც იკვებება ადამიანი, ყოველდღე ამგვარი თვისებისაა ყოველი უჯრედი, ცალკე დაბალი არსება იქნება იგი, თუ ნაწილი დიდათ განვითარებული სულიერი არსებისა.

ამ თვისებაზეა დამყარებული ადამიანის და საზოგადოთ ყოველი სულიერი არსების სიცოცხლე, უჯრედების გამრავლება და განვითარება.

ყველა უჯრედს შესაფერსა და საჭირო მასალას აძლევს სისხლი, ხოლო ამ უკანასკნელს კი საჭმელი.

ადამიანის სხეულისთვის, წყლისა და ზოგიერთი მარილის გარდა, საჭიროა ცილის-მაგვარი ნივთიერება, ქონი, და აგრეთვე ის ნივთიერებანი, რომელნიც შესდგება შაქრისა და სახამებლისგან.

ფიზიოლოგია თხოულობს, რომ საჭმელი, რომლითაც ადამიანი საზრდოებს, შეიცავდეს ყველა ზემოხსენებულ ნივთიერებას. ყოველ თითო ნაწილზე ხუთი-ექვსი ნაწილი შაქარი და სახამებელი უნდა იყოს. ამგვარი საჭირო ნივთიერებანი ადამიანს შეუძლიან მიიღოს როგორც მცენარეულობის ისე ხორცეულობისაგან შემდგარი საჭმლისაგან.

გამოჩენილ მეცნიერთა დაკვირებიდან ჩანს ნათლათ, რომ ადამიანის სხეულისთვის არ არის საკმარისი ის საჭმელი, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთ რომელსამე ზემოაღნიშნულ ნივთიერებას შეიცავს; აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ის საჭმელი, რომლიდანაც სხეულს შეუძლია მიიღოს ცილისმაგვარი ნივთიერება: ქონი, სახამებელი და შაქარი. ამიტომ საჭიროა საჭმელი შერეული იყოს და არა ერთგვარი, გარდა ამისა თავისის რაოდენობით საჭმელი იმდენათ ზომიერი უნდა იყოს, რომ მისი მონელება არ უნდა გაუძნელდეს კუჭსა და წელებს.

იმ ადამიანის სხეული ძლიერია და ძალღონით არის სავსე, რომელიც ნორმალურათ იკვებება. ასეთ სხეულს შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მიკრობებს და სრული გამარჯვებული დარჩეს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

IV

ის თვითდაცვის ძალა, რომელიცაა სხეულში მაშასადამე უფრო ძლიერია მაშინ, როდესაც ადამიანი საზდოობს ნორმალურათ. აქიდან ნათლათ ჩანს პირდაპირი დამოკიდებულობა თვითდაცვის ძალისა იმ საჭმელთან, რომელსაც ყოველდღე იღებს ადამიანი. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საზდოს, როგორც თვითდაცვის ძალას, საბრძოლველ იარაღს, ისეთ ავათმყოფობათა წინააღმდეგ, როგორიც არის მაგალითად ჭლექი, კუჭის და წელების ავათმყოფობა და სხვა... ეს ისეთი ავათმყოფობაა, რომელთაც წინააღმდეგ მედიცინაში ნამდვილი შესაფერი წამალი ჯერ კიდევ ვერ აღმოუჩენიათ.

ყველასათვის ცხადია, თუ რა საშინელებას წარმოადგენს ჭლექი, თუ რა საშინლათ მძვინვარებს ეს სენი მთელი დედამიწის ზურგზე და მუსრს ავლებს კაცობრიობას. ჭლექი იმ გვარი სენია, რომელიც ანადგურებს არა მარტო ჭლექიანის სხეულს, არამედ მთელ მის შთამომავლობას.

რა საშუალებით უნდა ებრძოლოს ჭლექიანმა ამ საშინელ სენს? წმინდა ჰაერი და შერჩეული საჭმელი, რომლებმაც ისე უნდა გაამაგროს მისი სხეული, რომ მან შესძლოს ბრძოლა ჭლექის ბაცილებთან, რომელთაც მოუშხამეს შიგნეულობა.

როგორ უნდა გავამაგროთ ჭლექიანის შვილის სხეული, რომ მასაც არ გამოაჩნდეს მამის ჭლექი? კიდევ და კიდევ შერჩეულმა საჭმელმა რაციონალურმა გამოკვებამ უნდა გაამაგროს პატარაობიდანვე მისი სხეული, რომ ამ უკანასკნელში შეიქნეს ისეთი თვითდაცვის ძალა, რომ მას ჭლექის ბაცილებმა ვერა დააკლოს რა.

სახელგანთქმულმა მეცნიერმა მეჩნიკოვმა ფრანგულ ენაზე გამოსცა თავისი შესანიშნავი შრომა, სადაც იგი ეხება ადამიანის ახლანდელ ხანმოკლეობას. რა მიზეზია, ამბობს მეცნიერი, რომ თუ უწინდელ დროში ადამიანი ას-ორას წლამდი ცოცხლობდა, ახლა ასე შეუმოკლდა სიცოცხლეო? რა მიზეზების გამოა, რომ ადამიანი ასე მალე ბერდება, სხეული უძაბუნდება და სამოცის წლისა ღრმა მოხუცსა გავსო?

დღეს თუ ადამიანი ასე ცოტა ხანს ცოცხლობს ქვეყნათ და უფრო ხან-მოკლეა თავის წინაპრებზე, ეს იმიტომ, რომ ადამიანის სხეული სხვათა შორის ვერ იკვებება იმ გვარი საჭმელით, როგორიც დღეს შეფერის მისი სხეულის მოთხოვნილებასო.

ერთისთვის რომ ერთგვარი საჭმელი მარგებელია, მეორისათვის იგივე საჭმელი მაწყენარია. საჭმელი იმ გვარათ უნდა იყოს შერჩეული, რომ შეეფერებოდეს ადამიანის სხეულის ჯანმთელობას, მის აგებულებას, მიდრეკილებას და განსაკუთრებით იმ გარემოებათ, რომელშიც იგი იმყოფება.

აი, მხოლოდ ამ შემთხვევაშია, რომ სხეული ჯეროვანათ საზდოობს და მაშასადამე იძენს თვითდაცვის ძალას. ასეთი სხეული სიცოცხლით სავსეა და ადამიანიც უფრო დიდხანსაც ცოცხლობს.

ექიმი ბადრიძე.

ომი ბალკანეთზე

დეპეშა.

ათინა. ეგეის ესკადრის სარდალი იტყობინება: კუნძული იკორია ავიღეთო. ეპირში მემკვიდრის ჯარის მარჯვენა ფრთა მონასტერზე მიდის და კასანდრაში ჯარი გადასხეს, სადაც სპილენძის შესანიშნავი მადანია. კასანდრის და ათონის დაკავებით კალხიდიკი საბერძნეთის ხელში გადადის.

სტამბოლი. ნაზიმ-ფაშა დეპეშით იტყობინება: 5 ნოემბერს მთელ ლიანდაგზე არტილერია იბრძოდა. მტერს იერიშის მოტანა უნდოდა მაგრამ უკუ ვაქციეთო.

სტამბოლში მახმუდ-მუხტარ-ფაშა მოიყვანეს, რომელიც მარჯვენა ფეხშია დაჭრილი.

მეორე ხმა. დაჩუმდი შე ჩიტების ამხანაგო!... აქ კვიპროსის მთავარია ..

მგოსანი. (მთავარს მიუბრუნდება) კვიპროსის მთავარო! დღეს ზღვის ზედა-პირზე გაჩნდა უცხო რამ ქმნილება.

მთავარი. სთქვი რა მოხდა?

მგოსანი: ზღვის ნაპირას წაველ და იქ წყლის იდუმალი სივრცეს ჩემს დარდებს ვუერთებდი... ტალღების უდარდელი თამაშის მზერით ლაღ ფრთებიან კაეშანს ვასუსტებდი, და ამა დროს საოცარი რამ მოხდა, უეცრათ წყლიდან გაჩნდა ...

ერთი ხმა: მგოსანია, ოცნებობს...

მთავარი: ჩუმათ, ყური დაუგდეთ!...

მგოსანი. დიახ, საოცარი რამ ვიხილე. ზღვის ერთს ადგილს ღელღა შეირხა, ფირთხალი იწყო, ტყვე ქნილ იადონის ფრთების თამაშს დაემსგავსა და თოვლივით თეთრი ქაფი გაჩნდა... ქაფმა იმატა... გაძლიერდა... ზღვამ სული განაბა, ზღვა გარინდდა... მზემ სხივითა მძივი იქ დააბნია და წყლიდან ნელ-ნელა გამოიხატა რაღაცა უცხო ქმნილება.. დიდო ზევსო! შენსა სიმშვიდეს შევაფარებ ჩემს განცვიფრებას!.. გაოცებული ვიყავი... და როდესაც მისი მოყვანილობა მთლად გამოისახა, მაშინ ვერაფერი მისი დასადარი ვერ წარმოვიდგინე ოცნებითაც, მისი თვალების ნაზი სინათლე ოლიმპსაც მისცემს მშვენიერებას; მისი სახის ტკბილი ხატება წინასწარ აზრს გავს გენიოსი შემოქმედობისას! მის დანახვაზე მუხლთ მოვიყარე და რაღაცა იდუმალმა ძალამ მაიძულა შემეყვირა: „სალამი შენდა, ახალო ღვთაებაო ქვეყნიერებისა, ღვთაებავო სიტურფისა, მშვენიერებისა.. სალამი შენდა, ჰოი ნათელო აფროდიტა! ნაზმა ქმნილებამ თვალები ტკბილათ მომაპყრა და გამიცინა... მისი ღიმილი ახლათ გახლეჩილ ვარდის ბაგეს გავდა. კვიპროსი მცხოვრებნო, ამიერიდან დიდებულია თქვენი კუნძული, თქვენი სახელი ცეცხლის ასოთი დაიწერება კაცთა ხსოვნაში, ვინაიდან მშვენიერების ღვთაებამ პირველ თვისი ჰაეროვანი ფეხტებით, თქვენი კუნძულის მწვანე მიდორზე გაისეირნა, ვით გაზაფხულის ნელმა სიომ...

მთავარი: (აღტაცებული) ვფიცავ ზევსის ფოლად მარჯვენას, სიმდიდრის ყანწს თავზე დავცლი, თუ მართალია, რაც ახლა სთქვი...

მგოსანი: ველარ ვენდობი სიტყვის სისრულეს, წამოდით და თქვენის თვალით დარწმუნდით...

მთავარი: (ხალხს) წავიდეთ... აქ რაღაც სასწაულია!..

ხალხი. წავიდეთ... წავიდეთ...

(გადიან).

IV.

(სამი მოხუცი)

პირველი მოხუცი: პელესის შვილო, ნუ თუ ოდესმე გაგიგონია, რომ ზღვიდან ქალი იშვას?

მეორე მოხუცი: (დინჯათ) ბევრი მიმოგზავრია, ბევრი ქვეყანა მინახავს, აურებელი ხალხი გამიცვნია, მაგრამ ასეთი ამბავი ჯერ არ მსმენია.., მომხდარა ოდეს განრისხებული პოსეიდონი თვისი მძლავრი ორკაპით ზღვის ტალღებს აამბოხებდა; მაშინ ნაპირებზე ბევრი მინახავს დიდ ტოტებიანი მარჯნის ბუჩქები და მარგალიტის ფერადი სადაფის გროვა, მაგრამ ზღვის ქაფისაგან ნაშვები ასული არც მინახავს და არც გამიგონია ..

პირველი მოხუცი: შეიძლება ეგ ასული ზევსისა და პოსეიდონის შორის მშვიდობის ბადის გასამპელათ მოევლინა?

მეორე მოხუცი: შეიძლება ეგეც იყოს, ხოლო იგი ოლიმპის გზას აცთენია.. (ღრმა მოხუცი მიუახლოვდება მას; ყავარჯენი უჭირავს, რომელითაც თავს იმაგრებს, ყურს არ ესმის, ამიტომ თითონ ხმა მაღლა ლაპარაკობს და სხვებისაგანაც ასე მოითხოვს.)

ღრმა მოხუცი. (ხმა მაღლა). რა იყო? რა მოხდა? სარპედონის შვილო, გლავკო, ეს ხალხი სად წავიდა?

პირველი მოხუცი: (ყურში ჩასძახებს) პოლიდამასის შვილო! დღეს თურმე ზღვის ნაპირას ყოფილა და ამ ზღვის ზედა პირზე ქაფი დაუნახავს, ამ ქაფისაგან მშვენიერი ასული დაიბადაო და ნაპირზე გადმოვიდაო.

ღრმა მოხუცი: (გაკვირვებით) რას ამბობ? ზღვის ქაფისაგან ასული იშვა?.. დიდო ზევსო! პირველათ მესმის ქაფისაგან ქალი გაჩენილიყოს .. მაშ ეს ხალხი მის სანახავათ წავიდა? ა!

მეორე მოხუცი. (ხმა მაღლა) ჰო! ხალხი მის სანახავათ წავიდა!..

ღრმა მოხუცი: რა უწოდა მას სახელი მგოსანმა?

პირველი მოხუცი: ასე სთქვა: როდესაც ვიხილე ჩემდა უნებლიეთ მას აფროდიტათ ვუწოდე, მშვენიერების ღმერთიო!

ღრმა მოხუცი: მშვენიერების ღმერთი აფროდიტა?! სილამაზის დაფასებაში მგოსნებს ბადალი არა ყავს, მაგრამ, ვერ გამიგია, დედამიწაზე ღმერთი რათ გადმოვიდა...

პირველი მოხუცი: მეც ეგ მაკვირვებს, შენც ხომ არ გაგიგონია, მოხუცო ასეთი შემთხვევა?

ღრმა მოხუცი (ჩაფიქრდება) არა... პირიქით, თუ ოდესმე ვინმე ან თავის ნიჭით ან და ხელოვნების შეგნებით სხვას აღემატებოდა, ოლიმპის მცხოვრებნი შურით უყურებდნენ და ახლა ნუ თუ თვით ღმერთის მაგვარი არსების გაჩენა ასე ადვილათ მოხდა.. ეგ მიუწდომელია!...

მეორე მოხუცი: ხმაურობა მოისმის! მგონი მოდიან...

პირველი მოხუცი: (გაიყურება) მოდიან... მშვენიერების ღმერთი მოყავთ... ამას რას ვხედავ? მოდის... არა, ეს სიზმარია... ჭეშმარიტათ სასწაული რამ მოევლინა კვიპროსის კუნძულს!..

(ნელი სიმღერა მოისმის):

V.

(ოქროს ღრუბლებით გარეხვეული შემოდის აფროდიტა ტანთ არა აცვია რა. იგი მარმარილოდან ჩამოსხმულია; წაბლის ფერი თმა წელამდი აყრია გარს ახვევია ქალთა გროვა ვარდ ყვავილებით; უკან მოსდევენ მოქალაქენი. აფროდიტას ამბიონზე მისცემენ ადგილს; მის ფეხთით ქალწულნი ვარდ-ყვავილებს აფენენ. აღტაცებული მგოსანი აფროდიტას თვალებში შეყურებს).

მგოსანი. (აღტაცებით) მზის სხივის მრავალ-ფეროვნება უნდა ქონდეს სიტყვას, რომ ოდნავ მაინც აწეროს სიტურფე, რომელიც შენს ღვთიურ გარეგნობას სიზმარივით გარს შემოვლებია! მშვენიერების ღმერთო! შენს სახეს დაკრთის სითეთრე ტბის პირას აყვავებული სოსანისა; შენს ღრმა თვალებში ის სინაზე დაკარგვია. მაისის ვარდს სიკეკლუცე შენს ბაგეებზე დავიწყებია. შენი მკერდი უბიწოა, ვით მყინვარის მწვერვალის თოვლი. შენს ღვთიურ ტანს უმწიკვლო მორცხობის შუქი გარს შემობურვია. აწ მოგვევლინა დრო ნეტარი სილამაზის შეგნებისა; ხორც შესხმული მშვენიერებისა; იგი ჩვენს ცხოვრებაში შემოიტანს საერთო ბედნიერებას. მზის ჩასვლის დროს უცხო ფერით მოსილი ბუნება, ტურფა ვარდი, მძლავრის სურვილი, ჭაბუკის აღტაცება, მოხუცის სიდინჯე ამიერიდან მშვენიერი აფროდიტას ტახტის წინაშე თავს მოიხრიან... სალამი შენდა ვის ღვთიურ არსებაშიც ცეცხლი სამარადისო შემოქმედებისა ღვივის...

სალამი აფროდიტას! სალამი **ახალ ღმერთს!**

მთავარი. მიმართავს აფროდიტას) ჰოი დიდება კვიპროსის კუნძულისა! მითხარი, ვინ ხარ, საიდან მოგვევლინე?

აფროდიტა. (კრძალვით) მამაა ჩემი იის ფერი სივრცე, ზღვის გულს ტკბილათ ჩაკონებული, დედა—ზღვის ნელი ტალღიდან გაჩენილი თოვლივით თეთრი ქაფი... ზღვის ზედა პირზე დამცურავი ტალღების შრიალის ხმის ქვეშ გამოვიჭერი მე მის ზედა პირზე...

მთავარი. (აღტაცებით) მოწიწებით თავს ვიხრი შენი მშვენიერების წინაშე! (ხალხს მიუბრუნდება) მოქალაქენო! სად მივუჩინოთ თავი შესაფერი მშვენიერების ღმერთს აფროდიტას?

ხალხი: მას მივსცეთ ტაძარი...

მგოსანი: (წინასწარმეტყველობს) და აყვავდება კუნძული კვიპროსისა მის მფარველობის ქვეშე...

აფროდიტა; (მორიდებით) გმადლობ

მთავარი: მაშ ტაძრისკენ!

(მგოსანი აფროდიტას ხელს გაუწოდებს და ნელა ჩამოიყვანს).

(ფარდა).

(დასასრული ხვალ)

ჯ. ჯორჯიკია.

ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში **ფ. ს. ფილიპოვისა**

ყოველთვის მოიპოვება დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭეული; საუცხოო ბროლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამპები ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, აგრეთვე ჭიქა ემალ გამოვლებული ჭურჭლეული თეთრი ალიუმინის, ალპაკა და ვერცხლის ქვაბები, ყავადნები, სარძევეები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო—ნივთომერცხლნარევი და ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. ვენური მოხრილი სუფრის ყოველგვარი და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისის ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები, სასუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინოები და ყოველგვარი საკრავთა შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსაწყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილობა, დიდძალი რჩეული შპალერი 8 კაპეიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი თოფი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტათ დაკლებულია.

სავაჭრო სახლი **გ. გოკიელის შვ-ეზი** სავაჭრო სახლი

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო

საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთეზი,

რომელნიც პირდაპირ მწარმოებლებისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით. სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით

ფასები დაუკლო.

ეს ფასი, რომელიც ხელმისაწვდომია და იაფია, კარგათ იცის ქუთაისის საზოგადოებამ.

ნაზიმ-ფაშა დეპეშით იტყობინება: 7 ნოემბერს 10—4 საათამდი სერიოზული ბრძოლა არ ყოფილა. ბულგარლებს იერიში არ მოუტანიათ.

სამშვიდობო მოლაპარაკების დელეგატებათ, როგორც კერძო წყაროებიდან იუწყებიან, ბულგარეთის მთავარსარდალს საკოვს დაუნიშნავს იზეტ-ფაშა პორტის იურის-კონსული და ჩაბან-ბეი. ორივე დელეგატი ჯარის მთავარ ბინაზე მიდის. ბულგარეთის დელეგატებთან შეხვედრა 9 ნოემბერს მოხდება ჩატალჯში. მესამე დელეგატი ოსმალეთისა, ბერლინის ელჩი ოსმან-ტამი-ფაში კრებაზე 9 ნოემბერს გამოცხადდება. ელჩთა და დიპლომატიური კორპუსის უხუცესთა კრებაზე განიხილეს პორტას მოთხოვნილება. უკანასკნელი მოითხოვს, რომ უკან დაუბრუნონ მეზღვაურნი და ჯარისკაცები, რომლებიც ქალაქში წესიერების დასაცავათ იყვენ გაგზავნილი. გადასწყვიტეს მიღებული ზომები არ შესცვალონ.

დანიშნულ დრომდი დარდანელის სრუტეში საბერძნეთის 23 გემი გავიდა.

ათინა. ოსმალეთის ნადმოსანი გემი „ატალია", რომელიც ოსმალებმა პრევეზის აღების დროს თავისი ნებით უსძირეს, ბერძნებმა ამოიღეს, „ატალია" 6 წლის წინ არის აშენებული. ახლა ის საბერძნეთის ფლოტის საკუთრებას შეადგენს.

ადესა 27 ოკტომბერი.

სამაგალითო არჩევანი და სამაგალითო დეპუტატი.

ყოველი მხრით შესანიშნავია ადესა! აქ ხალხიც სხვანაირია, უნივერსიტეტიც კანონიცა ჰ არჩევანიც. სასწაული ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენს ამ კურთხეულ ქალაქში, შეუძლებელი აქ არა არის რა! ერთ ასეთ „ჩვეულებრივ" მოვლენათ უნდა ჩაითვალოს აქ დეპუტატთა არჩევანი და მემარჯვენეთა, „წმიდა რუსთა კავშირის" გამარჯვება. დეპეშებიდან უკვე გეცოდინებათ, რომ ადესის დეპუტატებათ აირჩიეს, ცნობილი, ნოვოროსიის უნივერსიტეტის რექტორი ლევაშოვი და ეპისკოპოზი ანატოლი. (ორივე მოკავშირე) ხედავ ყოველივე ამას ადამიანი და ვერ დაგიჯერებია, რომ ადესამ, სადაც 200,000 მარტო ებრაელია, თავისი ბედ იღბალი პროფ. ლევაშოვს და ეპისკოპოზ ანატოლს ჩააბარა! იმ ლევაშოვს, რომელმაც ნოვოროსიის უნივერსიტეტი სავსებით გაანადგურა, მეცნიერების ტაძარს დაუკარგა თავისი წმიდა და პირდაპირი დანიშნულება და პოლიციის—ოხრანის ერთ-ერთ ნაწილათ გადააქცია!.. გაიხსენეთ უკანასკნელი დროის ოხრანიკ ვაკულინის გამომჟღავნებანი და მკითხველს ნათლად წარმოუდგება არჩეული დეპუტატი ლევაშოვის პიროვნება, რომელმაც, ერთი აქაური გაზეთის თქმით არ იყოს, სავსებით დაუკარგა უნივერსიტეტს მორალური მხარე, გადააქცია „ბოროტ ორმოდ", საიდანაც ახრანიკებიც კი გარბიან. დიახ, პატივცემულო მკითხველო, ლევაშოვის ნავარდობა აღარ ამოიფხვრება რუსეთის მცხოვრებთა გულიდან, ადესის უნივერსიტეტის კედლები, ყმაწვილის უმანკო სისხლით შეღებილი, მუდმივი და შეუდარებელი მოწმე იქნება მისი კეთილსინდისიერი უნივერსიტეტის მართვა გამგეობისა!.. ხედავ ყოველივე ამას ადამიანი და გიკვირს! ძალაუნებურათ გებადება კითხვა: როგორ მოხთა რომ პირველ საარჩევნო კურიაში, სადაც ამომრჩეველთა 47% ებრაელები შეადგენს „წმიდა რუსთა კავშირის", კანდიდატი ლევაშოვი გავიდა". ანდა მაგალითად ალექსანდროვის ნაწილში, სადაც ამომრჩეველთა 57,6% ებრაელებია, ლევაშოვმა მიიღო 203 ხმა და სლიოსბერგმა კი (პროგრესისტთა კანდიდატია.) 153 ხმა? ანდა მეორე კურიის „ბულვარნი ნაწილში", სადაც ებრაელთა ამომრჩეველი ამოდენივე პროცენტს შეადგენს, მემარჯვენეებმა მიიღეს 1031 ხმა მაშინ, როდესაც კადეტმა ნიკოლსკიმ და მუშათა კანდიდატმა რომანოვსკიმ ერთად 904 ხმა მიიღეს (პირველმა 828 და მეორემ 76)?! მაგრამ ყოველივე ამას ნათელი ეფინება და იხსნება, როდესაც გაითვალისწინებ მთელ საარჩევნო პროცესს. საქმე იმაშია რომ მთელი საარჩევნო მეხანიზმი შავრაზმელ ქალაქის გამგეობის ხელში იყო, რომელიც არავითარ ზომას არ ერიდებოდა, რომ როგორმე შეემცირებია ებრაელთა და არასაიმედო ამომრჩეველთა რიცხვი. ერთი რომ ათასობით გამოტოვეს ეს არასაიმედონი და უცენზო „საიმედონი" კი შეიტანეს, მეორე რომ ვინც ამათგან მოხთა საარჩევნო სიაში, უმეტესობა შეცთომით იყო შეტანილი, ზოგს შუაში აკლდა ერთი ასო, ზოგს ბოლოში, ზოგს მიმატებული ქონდა და სხ., მესამე რომ სახელობითი უწყებები (именн. объявл.) ყველას არ ჩააბარეს; მეოთხე რომ საარჩევნო კომისიის წევრები პირდაპირ უკანონოთ იქცეოდენ, შავრაზმელთა კანდიდატებს აშკარა მფარველობას უწევდენ და პროგრესისტთა მომხრეებს, სულ უბრალო რამეს გულისათვის უკარგავდენ ხმის მიცემის უფლებას; მეხუთე რომ, მემარჯვენეთა დამქაშები პირდაპირ, მოურიდებლათ იჭერდენ უბრალო ხალხს, ართმევდენ მათ ბიულეტენებს და თავისას ძალით აძლევდენ. ერთი სიტყვით ვინ ჩამოთვლის იმ უკანონობასა და ძალმომრეობას, რომელსაც აქ არჩევნებზე ქონდა ადგილი და რომელიც ასე აღელვებს და აშფოთებს მთელ პროგრესიულ ნაწილს ადესის საზოგადოებისას. ამბობენ რომ ხელახალი არჩევანი უნდა მოხდესო, მაგრამ ვეჭვობ რამე გამოვიდეს; მათ ხელშია ძალა და კანონიც!

ნათქვამია ერთი ჭირი მარგებელიაო, და ლევაშოვის დეპუტატათ ამორჩევის შემდეგ ნოვოროსიის უნივერსიტეტს მოაკლდება ერთი დიდი პარაზიტი, ბოროტი სული, რომელმაც სავსებით მოწამლა უნივერსიტეტის ჰაერი და მეცნიერების ტაძარი სრულ სულიერ და ზნეობრივ გახრწნამდე მიიყვანა... დეე წავიდეს წარჩინებული პროფესორი იქ, პეტერბურგს, ტოლმაჩოვი, მისი მეორე ნახევარი, შეიძლება იქ არ დახვდეს, მაგრამ პურიშკევიჩი ხომ იქ იქნება!.. შავრაზმელთა ხარხარს ხმა მისცეს, მხოლოდ ის ნუ დაავიწყდება, ადესის უნივერსიტეტის შავ ბობოლას, რომ ნამდვილი ხალხის წარმომადგენლები მოსთხოვენ მას პასუხს და სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან ამცნობენ მთელ ქვეყანას მისს კაი კაცობას.

მანი.

ანგარიში

ქუთაისის ბავშთა მზრუნველი საზოგადოების სასარგებლოთ (ქალაქის თეატრში 25 ოკტომბერს 1912 წელს) გამართული წარმოდგენისა.

შემოსავალი:

ბილეთების გაყიდვიდან	492 მ. 28 კ.
კონფეკტების, აფიშებისა და ყვავილების გაყიდვიდან	45 მ.
საპატიო ბილეთების გაყიდვიდან	28 მ.
შემოწირულება	23 მ. 6 შ.
სულ	588 მ, 58 კ.

საპატიო ბილეთებისა.

ა. ა მაკაროვისგან	5 მ.
კნ. დ. კ. ნიჟარაძისაგან	5 მ.
პ. გ. მიქელაძისაგან	5 მ.
ა. მ. ამოსისაგან	5 მ.
ვ. თ. გოლოშჩანოვისაგან	5 მ.
ფ. ე. პოტილევსისაგან	3 მ.

შემოწირულება მიკიღეთ

ვ. ი. აბრამოვიჩისაგან	5 მ.
გოკიელისაგან	3 მ.
კორგანოვისაგან	3 მ.
დავ. არჩ. ლორთქიფანიძისაგან	3 მ.
ლოლაძისაგან	3 მ.
ს. ე. ტერტეროვისაგან	3 მ.
კნ. ს. ე. მაჩაბლისაგან	2 მ.
პ. ი. პავლინცისაგან	6 აბაზი

გასავალი:

სტამბა 6 მ., საავტორო 6 მ., პიანინოს ქირა 6 მ., და 10 შ., სკამების ქირა 2 მ. და 2 აბ., განცხადება ალმანახში 2 მან., აფიშების გაკვრა 2 მ., პარიკმახერი 5 მ., რეკვიზიტორს 4 მ., კოსტიუმორს მანეთ ნახევარი, მუსიკა 10 მ., ყვავილები 6 მ. და 11 შაური, კონფეკტები 16 მ და 10 შ., როლების გადაწერა 5 მ. და 3 შ., თეატრის ქირა 61 მ. და 4 აბაზი, გასამეორებელი მარკები 27 მ. და 38 კ., მოსაწვევი წერილების დაგზავნა და სხვა წვრილი გასავალი 5 მ. და 7 შ.

სულ 168 მ. 13 კ.

საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო წარმოდგენაში და აგრეთვე შემომწირველთ და მთელ საზოგადოებას, რომელთაც თავისი წვლილი არ დაიშურეს კეთილი საქმისათვის

საზოგადოების თავჯდომარე ე. ბ. მოსიძისა.
მდივანი საზოგადოებისა დ. ა. მანუილოვი.

რედაქტორ-გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

ძმ. ჩარექოვის **საამხანაგო საფუტკრე,**

რომელიც იმყოფება საბარგო სადგურის პირდაპირ მიაწოდებს მსურველთ ნამდვილ ბუნებრივსა და სურნელოვან ღია ფერის თაფლს, ვინც რამდენს მოისურვებს, გირვანქას 5 შაურათ.

ალექსანდრე კოსტავას
ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში
თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტიუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე მოწაფეებისათვის, საწვიმარი მოსახურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი მეტათ დაკლებულ ფასათ იყიდება, რადგანაც ნაღდზე მაქვს ნაყიდი და მექარხნეებმა ძლიერ დამიკლეს ფასები. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს" ძლიერ ხელმიმცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტიუმო მატერია კაცებისათვის.

მიაქციეთ ყურადღება!

მიაქციეთ ყურადღება!

გ. დ. კაჭკაჭოვის
ახლათ გაღებული ფართლეულის
მაღაზია
ბულვარის პირდაპირ.

მიაქციეთ ყურადღება!

მივიღეთ და ყოველ დღე ვღებულობთ დიდძალ ახალმოდის საზამთრო მატერიებს: შალეულს, მაუდეულს, აბრეშუმეულს, ტილოს, ბამბეულს, მაგიდის ყოველნაირ გასაწყობს. აგრეთვე „რუბაშკებს" შალის, აბრეშუმის, საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ტულის ფარდებს.

საქონელი იყიდება სხვა მაღაზიებთან შედარებით, დაკლებულ ფასათ და უვაჭროთ,

განსაკუთრებით მოწაფეებს ფორმის ტანისამოსში 5 პროც. შეღავათი ეძლევათ.

გაზეთი **იმერეთი** იყიდება მესხეთის ქ. მოედანზე ამროსი ხვინგიასთან. იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

გაზეთი **იმერეთი** იყიდება ორპირის ქუჩაზე, მეთუნუქე ვანო ტორაძის სახელოსნოში. იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

ლანჩხუთის წიგნის და კანცელარიის მაღაზია.

აცნობებს ლანჩხუთის რაიონის მასწავლებლებს, რომ აქ დამზადებულია და იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო—სასწავლო ნივთები: **რვეულები, დღიური,** საუკეთესო **კალმები, მელანი, ქაღალდი** და სხვ. ამასთანავე აქვე იყიდება საუკეთესო ქართული და რუსული გაზეთები და ჟურნალები.

პატივისცემით კალანდაძე.

17 ნოემბრიდან ქ. ქუთაისში გამოვა ყოველ კვირული სამეურნეო და საზოგადო ჟურნალი

სასოფლო გაზეთი.

ჟურნალის მიზანია ემსახუროს ჩვენი სოფლის ნივთიერ, კულტურულ და გონებრივ აღორძინებას.

ჟურნალი ღირს:

ერთი წლით	4 მან.	ერთი თვით	2 აბაზი
ნახევარი	2 ,,	ცალკე ნუმერი	2 შაური
3 თვით	1 ,,	საზღვარგარეთ ორჯერ მეტი.	

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში ის კვიცარიძესთან, მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და სამეურნეო შკოლაში. თფილისში წ. კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, ბათომში „განთიადში". გიორგი მახარაძესთან. ფოთში ჟურნალ გაზეთების შკაფში სიმ. ორაგველიძესთან. ოზურგეთში წიგნის მაღაზიაში მ. თალაკვაძესთან. ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან. ლანჩხუთში ვარლამ კალანდაძესთან. ჭიათურაში ვასილ მასხულიასთან. სამტრედიაში ისიდორე სტურუასთან და წ. კ. გ. საზ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ზესტაფონში წ. კ. განყ. წიგნის მაღაზიაში პლატონ კიკნაველიძესთან. გორში არ. კალანდაძესთან. ხაშურში პირველ კლასის ბუფეტში ვ. რ. ჩიქოვანთან და ს. ყაჭეიშვილთან, წიგნის მაღაზიაში. ჭიათურაში ივანე ბომელაურთან და „ჩვენს ოჯახში", საჩხერეში აქიმს ჭოლოშვილთან.

ადრესი წერილებისა და ფულისათვის: ქუთაისი, სამეურნეო შკოლა „სასოფლო გაზეთისათვის".

რედაქტორ-გამომცემელნი: პ. გ. წულუკიძე და ალ. შარაშიძე.

გ. გორდამის და ს. წერეთლის
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

ძმ. ე. ძ პ. საკაშვილები
ქუთაისში.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რკინეულობის სავაჭრო

პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში, და შესამჩნევათ გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლათ, მაგ., კარ-ფანჯრების და ბუხრ-ღუმელების; მოწყობილობა, ლურსმანი რკინის ნიჩბები, წერაქვები და სხვა., სახელოსნო ხელსაწყობ, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ჟეშტი", სხვადასხვანაირი ემალიანი ჭურჭლეულობანი ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარები მოწყობილებაცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფასები ზომიერია.

ელექტრო-საბეჭდავი ფეიძისა და ქარნაუხოვის, ქუთაისში.